საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლომიძე ვალერიან დავითის ძე

ლომიძე ვალერიან დავითის ძე (დ. 4. VII. 1942, ბორჯომი), ჟურნალისტი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (2016). დაამთავრა გორის პედ. ინ-ტი (1969). 1974-იდან მუშაობდა გაზ. „ბორჯომის“ რედაქციაში ფოტოკორესპონდენტად, ლიტ. მუშაკად, განყ-ბის გამგედ, რედაქტორის მოადგილედ. 1991-იდან არის ამავე გაზეთის რედაქტორი.

1988 იყო ბორჯომის მუნიციპ-ის დემოგრაფიული საზ-ბისა და საზ. „ბორჯომელების“ დარბაზის (2021) თავ-რე. 2021 ქართ. პუბლიც. განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიანიჭეს ს. მესხის სახ. პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999); არის ბორჯომის საპატიო მოქალაქე (2012).